ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲛᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘᲡ № 53 (12262) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 4 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲩᲥᲔᲠᲘᲗ, ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ, ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ!

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲓᲐᲚ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲭᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲦᲝᲜᲔ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲰᲧᲘᲠᲓᲝᲜ 155 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ, 190 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ, 180 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ, 36 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲧᲣᲤᲘ, 100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲛ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ. ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲡᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲨᲣᲥᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ, ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲝᲑᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲯᲘᲗ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲗᲔᲗᲘᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲠᲒᲐ, ᲣᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲒᲒᲘᲜᲔᲗ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲒᲠᲫᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲒᲝᲚᲘ, ᲛᲘᲒᲕᲐᲦᲬᲝᲗ ᲘᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ.

ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲯᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲝᲠᲒ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲓᲐᲚ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔ

ჩვენი შრომა, ფიქრები — პარტიას!

ხვალ მოსკოვში მუშაობას დაიწყებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეოცე პლენუმი, რომელიც განიხილავს საკითხს „პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“

წინსვლის წყარო

ა. თხილაიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აბარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დიდი მიზანი დიდ ენერგიას ბადებს. ამიტომაც განაკვირვებელი როდია ის არნახული შრომითი აზვირთება, უმაგალითო შემოქმედებითი ენთუზიაზმი, რაც საბჭოთა ადამიანებში გამოიწვია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ახალმა პროგრამამ.

ახალი, შემოქმედებითი შრომის სასახარულო დღეებია საბჭოთა აბარაშიც. ქალაქად თუ სოფლად, სამრეწველო ნაკეთობებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში ფართო ფრონტით გაიშალა პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლა.

მნიშვნელოვანი წარმატებებით დამთავრეს სამეურნეო წელი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. აბარელმა მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს სულ 26.747 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 1.804 ტონით მეტი იყო გეგმასთან შედარებით. ჩაის კრეფის დავალება აბარის ყველა რაიონში გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო საშუალო მოსავალი ჰექტარზე 4.607 კილოგრამამდე გაიზარდა.

კანონიერ კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით საქართველოში ჩაის ფოთლის საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობის მხრივ პირველი და მეორე ადგილები ქობულეთისა და ბათუმის რაიონების მეჩაიეებმა დაიკავეს. ჩაის წარმოების დარგში საუკეთესო წარმატებებისათვის ბათუმის რაიონს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

„მწვანე ოქროს“ უფრო მაღალი მოსავალი მოიყვანეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა. ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ 1.032 ტონის ნაცვლად მრეწველობას ჩააბარა 1.194 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, და მოსავლიანობა ჰექტარზე 6.756 კილოგრამამდე გაზარდა. ამავე კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც მ. კოვიტიდი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ ცხრა ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ბობოყვათის კოლმეურნეობაში თ. ჯიჭარაძის რგოლმა — ათ ტონაზე მეტი. ნახევარ ჰექტარზე 10-12 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს მონწინავე მეჩაიეებმა ზ. ნურიძემ, მ. ჯიჭარაძემ, ე. გოგიტიძემ (ქობულეთის რაიონი), დ. თურმანიძემ, მ. გურგენიძემ (ბათუმის რაიონი) და სხვ.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები ახლა თითებზე ჩამოსათვლელი როდია. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს 70-ზე მეტმა მეჩაიემ საშუალოდ ჰექტარზე 10.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მიიღო. ხოლო ვინ მოთვლის იმ მეჩაიეთა გვარებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის დავალებები!

სასახელო მაჩვენებლებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. უკანასკნელი წლების განმავლობაში აბარელ მეციტრუსეებს არ მიუღიათ ისეთი დიდი მოსავალი, როგორიც შარშან მიიღეს. რესუბლიკაში დამზადებულია 485 მილიონი ცალი მანდარინი, ფორთობალი, ლიმონი. ციტრუსების უხვი მოსავალი მოიყვანეს ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის, ქედის, ულიანოფკის, ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობებმა, ციხისძირის, ქვირიკეს, გონიოს საბჭოთა მეურნეობებმა.

წარმატებებია მოპოვებული თამბაქოს, ყურძნის, ხილის, ტუნგოს, დაფნის, სიმინდის, ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებეს ზრდის საქმეში.

ეს მიღწევები მოპოვებულია იმის შედეგად, რომ პარტიის რაიონული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ ადგილებზე საქმის მდგომარეობას, რომ პარტიის წინასწარდასახულობანი უფრო ახლოს მიიტანეს ხალხთან, გაშალეს ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დარგში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ბევრი მოწინავე მეურნეობის გვერდით არ იქნებოდნენ ჩამორჩენილნიც.

აციღოთ თუნდაც ისევ მეჩაიეობის მეურნეობები. ქობულეთის რაიონის 27 კოლმეურნეობიდან და 9 საბჭოთა მეურნეობიდან რაიონის საშუალოზე დაბალი მოსავალი მიიღო 13 კოლმეურნეობამ და 5 საბჭოთა მეურნეობამ, ხოლო ბათუმის რაიონის 24 კოლმეურნეობიდან და 7 საბჭოთა მეურნეობიდან — 14 კოლმეურნეობამ და 3 საბჭოთა მეურნეობამ.

ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის, სოფელ მახინჯაურის, ქობულეთის რაიონის სოფელ აბუკუისთავის, სოფელ ქობულეთის, სოფელ კვირიკეს გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობები აბარაში და რაიონში მიღწეული ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავლის 60-65 პროცენტს ძლივს იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ კოლმეურნეობების ნიადაგები და კლიმატური პირობები მონწინავე მეურნეობებთან შედარებით არაა თუ ცუდია, არამედ ზოგჯერ უკეთესიც.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, შარშან ჩაის პლანტაციების დამუშავებაში სერიოზული ნაკლოვანებები იყო. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის, აბუკუისთავის უდანოვის სახელობის, ბათუმის რაიონის განთიადის და მახინჯაურის კოლმეურნეობებში ცუდად ამუშავებდნენ პლანტაციებს; ფერხდებოდა სასუქების შეტანა, შემოსული ფოთოლი იკრიფებოდა დაგვიანებით, ორგანიზებულად არ ხდებოდა მუშაბელის სამუშაოზე გაყვანა.

ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ გაწლილა ციტრუსების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლა. ციტრუსოვანთა ნარგავებს ცუდად უვლიან ბათუმის რაიონის თხილნარის, ხელვაჩაურის, ერგეს, ქობულეთის რაიონის ხალას, კვირიკეს, ალამბრის კოლმეურნეობებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ მოსავალიც მცირე მიიღეს.

მეურნეობის გონივრული გაძღოლა, ამა თუ იმ სამუშაოს მაღალხარისხოვნად, დროულად შესრულება ჩვენი კადრებისაგან მეტ პასუხისმგებლობას, მეტ ორგანიზატორულ ნიჭსა და ენერგიას მოითხოვს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ არიან ისეთი მეურნეობის ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, რომლებიც წლის დასაწყისში ათასგვარ საზეიმო დაპირებებს იძლევიან, მაგრამ საქმის პრაქტიკული განხორციელების დროს ივიწყებენ ამ დაპირებებს.

გასული წლის დასაწყისში ქობულეთის, ბათუმის, შუახევის, ქედისა და ხულოს რაიონების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აუცილებლად შესრულდებოდა რძის წარმოების გეგმა, მაგრამ დამთავრდა სამეურნეო წელი და ამ რაიონებში წველადობის გეგმა მაინც ვერ შესრულდა.

ასევე ბევრ კოლმეურნეობაში ვერ გაანადგეს დაპირება სიმინდის მოსავლიანობის გადიდების დარგში.

ცხადია, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობათა და პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობით ვერ განამტკიცეს თავიანთი სიტყვები. ამას უდავოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე. სისტემატურად არ წარმოებს სააგიტაციო საუბრები, იშვიათად იმართება შინაარსიანი მოხსენებები და ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, შუკურების შეხვედრა კოლმეურნეებთან და სხვა საინტერესო ღონისძიებანი. რა სამეურნეო წარმატებებზე შეიძლება ლაპარაკი ქობულეთის რაიონის აკუვის მახარაძის სახელობისა და ბათუმის რაიონის აბარისწყლის კოლმეურნეობებში, როცა აქ საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში აგიტკოლექტივს ამუამად ფაქტიურად არავინ ხელმძღვანელობს, თუმცა სოფელში ბევრია უმაღლესი განათლების მქონე, საგიტაციო მუშაობაში გამოცდილი კადრები. ზოგან პოლიტსკოლებისა და პოლიტწრეების მეცადინეობა მიმდინარეობს მშრალად, მეურნეობის პრაქტიკული საკითხებისაგან მოწყვეტით.

პარტია გვასწავლის, რომ ჩვენი მუშაობის ყოველ დარგს უნდა მივუდგეთ სახელმწიფო ინტერესების პოზიციებიდან. საჭიროა მაქსიმალურად, გონივრულად გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, საქმეში გამოვიჩინოთ მეტი კონკრეტულობა და პასუხისმგებლობა. მოწინავე მეურნეობათა მუშაობის ანალიზი იმაზე მიგვითითებს, რომ წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთი მთავარი რგოლია მეურნეობისადმი სწორი ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელობა ცოდნით, საქმის სიყვარულით. უკანასკნელ ხანს პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოს აღმასკომები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ენერგიული, ნიჭიერი კადრებით. მაგრამ ამ მხრივ ოდნავაც არ უნდა შეგვანელოთ ყურადღება. საოლქო პარტიულ ორგანიზაციას დასჭირდება შემდგომში უფრო ღრმად შეისწავლოს კადრების პირადი თვისებები და უნარი.

კოლმეურნეობათა ამას წინათ ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ბლანტაციებს, ციტრუსოვანთა ნარგავებს, ვენახს, ხეხილის ბაღებს და სხვ. უფრო მაღალი ვალდებულებები აიღო ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა.

ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა აბარის პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა. პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ადრევე შეუდგნენ თადარიგს. მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანებს განიხილავენ უპარტიო აქტივთან ერთად პლენუმებზე, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ თათბირებზე, პირველადი პარტორგანიზაციების, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებებზე.

ხვალ მუშაობას იწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს. პლენუმის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობათა ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ალექსანდრა ვოუბამ ახალი შრომითი საჩუქარი მიუძღვნა მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. მან ჩაის პლანტაციებში დაამთავრა ყოველგვარი სამუშაოები და ჩაის კრეფის სეზონის დაწყებას მომზადებული ხვდება.

სურათზე: ალექსანდრა ვოუბა ჩაის პლანტაციაში მუშაობის დროს.

ეს არის ჩვენთან ახალი

ერთი კომპლექსური მექანიზაციის რგოლის გამოცდილებიდან

ჩვენს კოლმეურნეობას 7.000 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი მიწა აქვს. ამ უზარმაზარ ფართობზე გაშლილი მიწის დამუშავება ხელით შეუძლებელია, რადგან თვითეულ შრომისუნარიან კოლმეურნეზე 9-10 ჰექტარი ფართობი მოდის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხელით შრომის დროს ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესის სამჯერ გათოხნას და მოსავლის აღებას დაახლოებით 45 კაცდღე სჭირდება, გასაგები გახდება, რომ მიმდინარე წელს მარტო სიმინდის, ბარდისა და მზესუმზრის ნათესებისა დასამუშავებლად, რომლებიც 2.800 ჰექტარზე დათესება, საჭირო იქნება 156.000 კაც-დღე. ამიტომ არის, რომ ჩვენი სახელოვანი მექანიზატორები: ს. ვერიოვკინი, ს. კულიკი, ვ. ვიშლოვი, ძ. აბრამოვიჩი და სხვები თვალისჩინივით უფრთხილდებიან მათს ხელთ არსებულ საკოლმეურნეო ტექნიკას. საკოლმეურნეო წარმოებაში სულ უფრო ფართო მასშტაბით ნერგავენ კომპლექსურ მექანიზაციას, რაც დიდად ამსუბუქებს ხელით შრომას და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

1960 წელს ი. გორდიენკომ წინადადება შეიტანა შეექმნათ ბრიგადაში კომპლექსური მექანიზაციის რგოლი. მას მხარი დაუჭირეს. გამგეობამ გორდიენკოს რგოლს მიამაგრა კულტივატორი, კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა, ფარცხები, საოში, მარცვალსაწმენდი მანქანა „ვიმი“, სასილოსე მწვანე მასისა და სიმინდის ასაღები კომბაინები. ი. გორდიენკოს მექანიზატორებულმა რგოლმა პირველ წელს 150 ჰექტარი მზესუმზირა და 170 ჰექტარი სიმინდი დათესა. გამოცდილმა მექანიზატორებმა შესანიშნავი კვადრატები მიიღეს, რამაც მათ საშუალება მისცა ნათესის მთლიანი ფართობი კომპლექსური მექანიზაციით, ხელით შრომის გამოუყენებლად დამუშავებინათ.

რგოლმა თვითეული ჰექტარის დამუშავებაზე დახარჯა 12 შრომადღე. სიმინდიც და მზესუმზირაც კომბაინებით აიღო. აქვე უნდა ითქვას, რომ იმავე წელს კოლმეურნეობის ხელით დამუშავებული თვითეული ჰექტარი სიმინდისა და მზესუმზირას მოგლაზე 39 შრომადღე დახარჯა. გორდიენკოს რგოლმა ჰექტარზე 19,7 ცენტნერი მზესუმზირა მიიღო, გეგმა კი 13 ცენტნერს თვალისწინებდა. ჰექტარზე 160 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მიიღეს.

ცენტნერი მზესუმზირა კოლმეურნეობას 4 მანეთი და 98 კაპიკი დაუჯდა. სიმინდი — 3 მანეთი და 5 კაპიკი. გორდიენკოს რგოლს ცენტნერი მზესუმზირას მოყვანა 1 მანეთი და 63 კაპიკი დაუჯდა, ხოლო ცენტნერი სიმინდისა — 1 მანეთი და 8 კაპიკი. როგორც ვხედავთ, კომპლექსური მექანიზაციით ნათესების დამუშავება არა მარტო ამცირებს ერთეულზე დანახარჯს, არამედ ძმიმე ფიზიკური შრომისგანაც ათავისუფლებს ადამიანებს.

ამჟამად გორდიენკოს რგოლი თესლის გაწმენდაზე მუშაობს. მან უკვე გაწმინდა და კონდიციამდე აიყვანა 815 ტონა თესლი. შეუდგა სიმინდის თესლის დაკალიბრებას.

შმობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შესანიშნავად ი. გორდიენკომ და მისმა თანამოსაქმემ ბ. გარსევანიშვილმა ერთობლივი ვალდებულება იკისრეს. ისინი წელს კვადრატულ-ბუდობრივად დათესავენ 300 ჰექტარ სიმინდს, აქედან მაღალმოსავლიანი 70 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 60 ცენტნერ მარცვალს, დანარჩენზე კი — 20 ცენტნერს.

ს. ბელიანინი — წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **შ. მახარაშვილი** — მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, **ბ. კოვზიჩიძე**—აგრონომი, **ი. გორდიენკო** და **შ. გარსევანიშვილი** — კომპლექსური მექანიზაციის რგოლის წევრები.

ლაითურის ჩაი

ჩვენი მეჩაიეები საგულდაგულოდ ამუშავებენ „მწვანე ოქროს“ პლანტაციებს. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდან შეუდგნენ უხვი მოსავლისათვის მბრძოლას. 1.000 ჰექტარზე მეტ პლანტაციაში დამთავრებულია ნიადაგის გადაბარგა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით.

ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბუჩქების მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლა, ლაო ჩაის დამშადება, სადრენაჟო არხების გაწმენდა, საპლანტაციო გზების შეკეთება და სხვა სამუშაოები. სანიმუშოდ შრომობენ ის აგრონომები ე. ნემსაძე და გ. ჯაბუა ხელმძღვანელობენ. აღსანიშნავია მუშების ი. გორგოშიძის, ა. გორბაღეჩკოს, ტ. ზუბრენკოს, ნ. რუხაძის მაღალნაყოფიერი შრომა.

ლაითურელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სასახელო მაჩვენებლებით შეხვედროდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს. ვიკისრეთ და შევასრულეთ კიდეც. თავი არ შევგირცხვენია, პირნათლად ვხვდებით ღირსსახსოვარ დღეს. ჩაის ბუჩქების გასხვლა სულ ცოტა 200 ჰექტარზე ჩავატარეთ, დავამზადეთ 300 ტონაზე მეტი კოფეინის მასალა, 260 ტონა ლაო ჩაი, ნაკვეთები დამატებით შევიტანეთ ტორფი და ნაკელი.

ვ. ბეიშვილი,
მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

გარდა მესხეთში

ამჟამად, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე მესხეთშიც ფართო გზა ეხსნება სათხნ კულტურებს. წელს ახალ-ციხის რაიონში გეგმით 300 ჰექტარი ბარდა უნდა დათესოს. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ფიქრობენ ორმაგად გაზარდონ ბარდის ნათესი ფართობი.

ჩვენი კოლმეურნეობა 30 ჰექტარზე დათესავს სათესლე ბარდას. მემინდვრეები პირობას დებენ, რომ ჰექტარზე 15 ცენტნერს მიიღებენ. ამით კიდევ უფრო გაზრდილ მარცვლეულს წარმოებას, უზრუნველყოფენ პირუტყვს ცილებით მდიდარი საკვებით.

როგორც ჩვენთან, ასევე მთელ რაიონში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მიწის სამუშაოები ბარდის დათესვად, სასუქების შეტანა, სარწყავი არხების გაწმენდა-შეკეთება. ბარდის მოყვანის აგროტექნიკისა და მექანიზაციის საკითხებზე ეწყობა კონსულტაციები, სემინარები.

მესხეთშიც შემოიბიჯა გაზაფხულმა და სულ მალე დავიწყებთ ბარდის თესვას.

ა. თამაზაშვილი,
ახალციხის რაიონის სოფელ ვარგავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შოროხის პირას

ალაზანს ველზე ახლა გაზაფხულია. ზვრებში, ხეხილის ბაღებში, ველ-ძირდვრებში მუშაობა არ წყდება. ყველა ბეჯითობს, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი შეასრულონ შეხედვა, ზვიდწლედის მეოთხე წლის მოსავალს მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს.

მარცვლეულის წარმოების გადიდება ჩვენი ძირითადი საზრუნავია. წელს სიმინდისათვის ყველაზე საუკეთესო ნაკვეთები შევარჩიეთ. მექანიზატორებმა თ. ბუთიაშვილმა, ფ. ბულაშვილმა და სხვებმა მიწა მზრალად მოხნეს. თვითმფრინავით ფოსფოროვანი სასუქები შევიტანეთ.

სიმინდს ხამი ადგილი უყვარს. შოროხის პირას ასეთი მიწები ბევრია. ორმოცი ჰექტარი ეკალ-ბარდისაგან გავწმინდეთ და დავაპლანტაჟეთ. ახალი მიწების ათვისება გრძელდება.

ბარდა ჩვენთვის ახალი კულტურაა. მისი მოყვანის აგროტექნიკა დაწვრილებით შევისწავლეთ. დარწმუნებული ვარ, რომ უხვ მოსავალს მივიღებთ. ოც ჰექტარ დაპლანტაჟებულ, სასუქებით გაჯერებულ ნაკვეთებში უკვე დავთესეთ ეს კულტურა.

წელს ხორბალი 444 ჰექტარზე გვითესია. თავგი რომ არ გამოავლდეს, ჯეჯილები შხამ-ქიმიკატებით შევწმელეთ. თვითმფრინავით ფოსფორი შევიტანეთ.

სიმინდიც კარგია და ხორბალიც, მაგრამ კახეთის მიწაზე ვახი მაინც მეფეა. 284 ჰექტარი ვენახი მთლიანად დავამუშავეთ. მექანიზატორებმა ე. მედელიშვილმა და გ. ცაგარელმა რიგთა შორის ხვნა უზადოდ ჩაატარეს. სასუქები უკვე ამ ჰექტარზეა შეტანილი. სხვა დამთავრებულია.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მუშაობაში ბევრი ხარვეზი გვხვდება. ავიღოთ თუნდაც ტექნიკა. ტრაქტორები, რაც გაგაჩნია, მზად არის, მაგრამ არ კმარა. განა 284 ჰექტარ ვენახს ერთი ტრაქტორი აუვა? ხვნა რომ არ დაგვიანებულიყო, ტრაქტორები ყვარლის საცდელ-საჩვენებელ სბჭოთა მეურნეობაში დავიქირავეთ. სიმინდის ყვავრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები საკმარისი გვაქვს, მაგრამ ტრაქტორები? ერთია „ბელარუსი“, და მასაც საბურავები არა აქვს. ჩვენ საშუალება გვაქვს შევიძინოთ ტრაქტორები, მაგრამ სად არის? „საქსოფლტექნიკის“ მესვეურებმა ამაზე უნდა იფიქრონ.

მ. არჩუაშვილი,
ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



ბაზაფხულია. მცხეთის რაიონის მინდვრებში გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები.

ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზატორებმა 60 ჰექტარზე დაამთავრეს ბარდის თესვა. ეს საჩუქარი მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიუძღვნეს.

სურათზე: ბარდის თესვა ნატახტარის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში. წინა პლანზე (მარცხნიდან) აგრონომი ო. მამულაშვილი და მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. მეზვრიშვილი თესვის წინ ამოწმებენ ბარდის თესლის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უპატაკეგენ სამშობლოს

საჩხერის რაიონმა ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმები. პირველი მარტისათვის ტორცის მიყიდვის გეგმა შესრულდა 123 პროცენტით, რძისა — 107 პროცენტით, კვერცხისა — 163 პროცენტით, ტყავისა — 146 პროცენტით. (საკდეს).

მეცნიერება და პრაქტიკა

მიწათმოქმედების გონივრული სისტემა

პარტიის XXII ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დაუსახა სოფლის მეურნეობას, საერთო პროდუქციის გამოშვება ათ წელიწადში 2,5-ჯერ, ხოლო ოცი წლის ბოლოს 3,5-ჯერ გაიზრდება.

მაგრამ, როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, „ნათესბალახიანი სისტემა რომ ავიღოთ, როგორც დროშა, სოფლისა და ბარის, ისე სარწყავ და ურწყავ ზონებში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პირობებში. ცნობილია, რომ აღნიშნული ციკლები აღმოსავლეთ საქართველოს ბარში აჩქარებული ხასიათისაა, მთაში კი — შენელებულია. ამის მიხედვით ბარს შემოკლებული თესლბრუნვები შეესაბამება, მთას კი — გაფართოებული.

ჩვენში ნიადაგის, ჰავისა და ეკოლოგიური პირობების შესაბამისად დიფერენცირებულად უნდა გამოვიყენოთ ნიადაგის ნაყოფიერების ოთხი ცნობილი საშუალება. ესენია: ბიოლოგიური, აგროფიზიკური, აგროქიმიური და მელიორაციული საშუალებები. არ შეიძლება ყველა ნიადაგი ერთ სიღრმეზე ვხნათ, ყველგან ერთნაირი რაოდენობით შევიტანოთ სასუქები და გავატაროთ ერთიანი აგროღონისძიებები. საჭიროა გადავიდეთ ზონალური დიფერენცირებული მიწათმოქმედების ღონისძიებათა გატარებაზე.

ს ა თ ო ხ ნ ი კულტურების თესლბრუნვების შემოღება და დანერგვა ზრდის მოთხოვნილებას სასუქებზე. ამასთან დაკავშირებით ქიმიური მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ადგილობრივი სასუქების შეგროვებას, შენახვასა და გამოყენებას, აგრეთვე უნდა გაძლიერდეს მუშაობა ბაქტერიული სასუქების დასამზადებლად. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სასუქების არაწესიერად შენახვასა და გამოყენებაზე, მაგრამ ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოსასწორებელია. მთავარი საბრძოლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სასუქების გამოყენება წარმოებდეს მეცნიერულ საფუძვლებზე. ნიადაგში სასუქების დიფერენცირებულად შეტანის საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგროქიმიური კარტოგრამები. არცერთი გრამი სასუქი არ უნდა დავკარგოთ, მთლიანად უნდა ჩავაყენოთ ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების სამსახურში.

სათოხნი კულტურები დიდ მოთხოვნილებებს აყენებს ნიადაგში წყლის რეჟიმზე. ამისათვის საჭიროა გადიდდეს სარწყავი სისტემები და ფართოდ დაინერგოს რწყვის პროგრესული ხერხები, რომ მივაღწიოთ წყლის რაციონალურად გამოყენებას.

ა მ ა ს თ ა ნ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად. ეს საქმე უნდა გადავაქციოთ სახალხო მნიშვნელობის საქმედ, რომელშიც ჩაბმული იქნება მოსახლეობის დიდი ნაწილი. უამისოდ ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ ნათესების დაცვას ქარის უარყოფითი მოქმედებისაგან და ვერ შევამცირებთ ეროზიულ მოვლენებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში წერია, რომ ახლო ხანში სოფლის მეურნეობაში შრომა გადაქცეულ იქნას ინდუსტრიულ შრომად. პროგრამის ამ მუხლის განხორციელება მოითხოვს სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებას. უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავზარდოთ ტექნიკის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სანიმუშოდ უნდა ვუმღერდეთ ხმარებაში მყოფ ტექნიკას, დროული და მაღალხარისხოვანი რემონტით გავაგრძელოთ მისი ამორტიზაციის ვადა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვას, რათა ყველა სამუშაო ვაწარმოოთ მანქანების საშუალებით, შევამციროთ მუშახელის რაოდენობა და გავზარდოთ მანქანების წარმადობა. ჩვენი რესპუბლიკა უმთავრესად მთაგორიანია. ამიტომ ჩვენში საჭიროა მთაგორიანი რაიონებისათვის საჭირო მიწათმოქმედების მექანიზაციის განვითარება.

სათოხნი კულტურების თესლბრუნვების შემოღებასთან დაკავშირებით ისმება საკითხი სათესლე მასალის შერჩევის, პერსპექტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის, მათი დახარისხებისა და დანერგვის, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ. სარეველა ბალახების საწინააღმდეგოდ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჰერბიციდები.

ნათესბალახიანი სისტემის განვითარებამ საქართველოში თავიდანვე ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება, მაგრამ ამ არასწორი ღონისძიების გასატარებლად მიმდინარეობდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ჩვენი ზოგიერთი მეცნიერი ამ სისტემის დანერგვას რეკომენდაციას უკეთებდა მსხმოიარე ხეხილის ბაღებსა და ციტრუსების პლანტაციებში. ამ ღონისძიების გატარებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მარტო უკანასკნელ ხანებში დახარჯა 12 მილიონ მანეთზე მეტი (ფულის ძველი კურსით).

ყველაზე დიდი ზიანი, რაც ნათესბალახიანი თესლბრუნვის სისტემამ მიაყენა ჩვენს რესპუბლიკას, იმაში მდგომარეობს, რომ წლების განმავლობაში ამ თესლბრუნვის საკითხებით დანაგვიანდა სახელმძღვანელო აგრონომიული ლიტერატურის ერთი ნაწილი. დასაგმობია მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ნათესბალახიანი თესლბრუნვები, რომლებიც მეტწილ შემთხვევებში საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რაონებში დასანერგავად გათვალისწინებულ თესლბრუნვებს. ამასთან დაკავშირებით სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს სამტომეული — „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემები“, სადაც საკითხი ეხება შესაფერის მიწათმოქმედების სისტემებს, სახელდობრ, ნათესბალახიანი თესლბრუნვების შემოღება-დანერგვას.

სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვს აგრეთვე დ. გედევანიშვილისა და გ. ტალახაძის „ნიადაგმცოდნეობის კურსი“ (1955 წელს გამოცემული), ი. ჯაბის „სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია“ (1957 წ.), გ. აბესაძის „ეროვნული და მარცვლეული პარკოსანი კულტურები“ (1955 წ.), ა. ჯაფარიძის „მეთამბაქოობა“ (1958 წ.) და სხვა ასეთი სახის სახელმძღვანელოები იმ ნაწილში, სადაც საკითხი ეხება ნათესბალახიანი თესლბრუნვების სისტემას.

მეტ სერიოზულ შეცდომებს შეიცავს რუსულიდან ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელებიც: ვ. იერეკეჩინის და სხვების „მინდვრის კულტურათა ზოგადი სელექცია და მეთესლეობა“ (1960 წ.), ა. ვერბინინს და სხვების „მიწათმოქმედება“ (1960 წ.) და სხვ.

უ ვ ა ლ ნ ე ს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სერიოზულ უნდა გადაისინჯოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატური გეგმები. ახლა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეუთმოთ ისეთ თემებს, რომლებიც შეისწავლიან მიწათმოქმედების კულტურების ფართოდ დანერგვას და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს.

უნდა გადაისინჯოს და შესწორდეს სასწავლო პროგრამები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სასწავლო გეგმები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ

მშვიდობის საქმე
ყველას შეეხება

გამოსამაურებელი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

პრაღა. იმ დღიდან, როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა პირველად მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრს წინადადებით — დაიწყოს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობა მთავრობათა (სახელმწიფოთა) მეთაურების მონაწილეობით, თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემა — განიარაღება ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ჩეხოსლოვაკიის პრესამ პირველ გვერდებზე გამოაქვეყნა ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილებისა საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლისადმი, აგრეთვე შვეიცარიისა და კანადის მთავრობათა მეთაურებისადმი.

„განიარაღების პრობლემა, — ხაზგასმით აღნიშნავს სათაურში „რუდე პრავო", — ყველა ქვეყანას შეეხება". გაზეთი მსგავსი შრიფტით გამოყოფს წერილის იმ ადგილებს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ აუცილებელი და საჭიროა ყველა ქვეყნის მონაწილეობა განიარაღების საკითხის გადაჭრაში და სადაც იგი ყურადღებას აქცევს დიდ როლს, რომელიც შეიძლება შეასრულონ უმაღლესმა სახელმწიფო წარმომადგენლებმა ამ საჭირბოროტო პრობლემის განხილვაში.

ზაპატრბა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას, რომ მოიწვიოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ 18 ქვეყნის კომიტეტში მთავრობათა მეთაურების დონეზე, კმაყოფილებით შეხვდა მთელი მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა. ეს წინადადება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა მტკიცედ აბორიცეელებს მშვიდობის დასაცავ ღონისძიებებს საბჭოთა კავშირი, ხოლო მასთან ერთად აგრეთვე მთელი სოციალისტური ბანაკი, განუცხადა თავის ინტერვიუში საკდესის კორესპონდენტს ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ აიდიტმა. განიარაღება, ხაზი გაუსვა მან, მშვიდობის დაცვისათვის მოქმედების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

კენედი-მაკმილანის უარი — პირადი მონაწილეობა მიიღონ ამ თათბირში იმას მოწმობს, რომ იმპერიალისტები ნამდვილად არ ისწრაფვიან დაიცვან მშვიდობა. პირიქით, ისინი როგორც ამას მოწმობენ მათი დივერსიული გეგმები და საქმეები, სამხედრო ჩარევა და აგრესია, რასაც დედამიწის ყველა კუთხეში აწარმოებენ, ისწრაფვიან შეარყიონ და დაანგრიონ მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ძალები. იმპერიალისტები და, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები შეუპოვრად ისწრაფვიან ახალი ომი დაატეხონ თავს კაცობრიობას. ისინი ყოველნაირად ცდილობენ მსოფლიოს ხალხები დაუმორჩილონ თავიანთ ინტერესებს და ამისათვის რეაქციონერებს იყენებენ ცალკეული ქვეყნების შიგნით. ისინი ყველაფერს სჩადიან, რათა შეინარჩუნონ დაძაბულობა საერთაშორისო ვითარებაში გამალებული შეიარაღების განგრძობისა და გაფართოების, ცივი ომის, ძირგამომთხრელი მოქმედების, სამხედრო ჩარევისა და აგრესიის გზით.

ლონდონი. ინგლისის პრესა კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილებს დე გოლის, ერლანდერისა და დიფენბეიკერისადმი და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი წინანდებურადვე მოითხოვს დაიწყოს 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობა „უმაღლეს დონეზე მთავრობათა (სახელმწიფოთა) მეთაურების მონაწილეობით, რათა გადაიჭრას საარსებო მნიშვნელობის პრობლემა — განიარაღების პრობლემა. „ხრუშჩოვის პასუხი, რომელიც გამოთქმულია ფრიად თავშეკავებული ტონით, აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი", ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც იგი თავის წინადადებებს აძლევს".

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ იმავე აზრს გამოთქვამს ინგლისის ბევრი სხვა გაზეთიც. „საბჭოთა მთავრობის მეთაური კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა თათბირი უმაღლეს დონეზე ეწიოს", — წერს „დეილი უორკერი". ხრუშჩოვი კვლავ აცხადებს, აღნიშნავს „ტაიმსი", რომ მთავრობათა (სახელმწიფოთა) 18 მეთაურის შეხვედრა საუკეთესო შესაძლებლობას შექმნის შეთანხმების დასადებად განიარაღების საკითხებზე. გაზეთმა „დეილი მეილმა" მოთავსა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის საპასუხო წერილების შესახებ, ამასთან მსგავსი შრიფტით გამოყო ის ადგილი დე გოლისადმი ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხში, სადაც ნათქვამია, რომ განიარაღების პრობლემა ეხება არა მარტო სახელმწიფოებს, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი, არამედ სხვა სახელმწიფოების, მათ შორის ნეიტრალური სახელმწიფოების ხალხებსაც, რომლებსაც უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თავიანთი დადებითი წვლილი შეიტანონ მოლაპარაკებაში.

კაირო. კაიროს გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს იმ წერილების შინაარსი, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 27 თებერვალს გაუგზავნა დე გოლს, დიფენბეიკერსა და ერლანდერს იმის შესახებ, რომ ჟენევაში უნდა გაიმართოს 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტის სხდომა.

მეტი წილი გაზეთები გამოამყოფენ და სათაურებში გამოაქვთ დე გოლისადმი წერილის ის ადგილი, სადაც ხაზგასმულია, რომ საჭიროა განიარაღების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ ნეიტრალურმა ქვეყნებმა, რომლებიც დიდ სახელმწიფოებზე ნაკლებად როდი არიან დაინტერესებული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევით.

გაზეთი „ალ აჰბარი" თავის სათაურში წერს: „ხრუშჩოვი ერთხელ კიდევ აღნიშნავს ხაზგასმით, რომ მთელი მსოფლიო დაინტერესებულია განიარაღების საკითხის მოწესრიგებით! იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა მიუმხრობელი ქვეყნების მონაწილეობა ამ პრობლემის მოწესრიგებაში".

ათენი. საბერძნეთის საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს რაც შეიძლება მალე იქნეს მიღწეული შეთანხმება განიარაღების შესახებ, და უწინარეს ყოვლისა ატომური იარაღის გამოცდის შწყვეტის შესახებ. მას ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება — უმაღლეს დონეზე დაიწყოს 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობა ძალიან დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნია ამ მიზნის მიღწევისათვის, წერს გაზეთი „ავგი".

რათა აღმოიფხვრათ ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის განახლების დაბრკოლება, განაგრძობს გაზეთი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყვეს საბჭოთა წინადადება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ, რითაც ანგარიში არ გაუწიეს მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრს. მათი მოქმედების მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება. ეს ლახვარს სცემს განიარაღებას, 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობას, იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად ისწრაფვიან გააძლიერონ გამალებული ატომური შეიარაღება. (საკდესი).

ტელეგრაფი გვაცყობინებს

რომი, 2 მარტი. (საკდესი). ინგლისელი ფაშისტების მეთაური ოსვალდ მოსლი ვენეციაში არ გამოვა.

მოსლი მუსოლინის ნაბოლარებმა „იტალიის სოციალური მოძრაობის" პარტიიდან მოიწვიეს იტალიაში. მას განზრახული ჰქონდა გამოსულიყო ფაშისტთა თავყრილობაზე ვენეციაში. მაგრამ ქალაქის მოსახლეობამ ჩაუშალა გეგმები ფაშისტებს. მოსახლეობამ აიძულა ქალაქის ხელისუფლები აეკრძალათ თავყრილობის მოწყობა.

გაზეთ „უნიტას" კორესპონდენტი ვენეციიდან იუწყება, რომ ქალაქის ადმინისტრაციის ამ გადაწყვეტილებამ „საზოგადოებრიობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია".

ბონი, 2 მარტი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ რაიონებში წყალდიდობის შედეგად 300-ზე მეტი კაცი დაიღუპა. ჰამბურგში დღემდე აღმოაჩინეს 287 გვამი, ქვემო საქსონიაში — 14, ბრემენში — 7 და შლეზვიგ ჰოლშტაინში — 1. გარდა ამისა, მაშველ სამუშაოთა დროს დაიღუპა ბუნდესვერის 7 ჯარისკაცი, 1 პოლიციელი და 4 მოხალისე სამოქალაქო მოსახლეობიდან.

ლონდონი, 2 მარტი. (საკდესი). „შეერთებული შტატები ჩქარობენ შექმნან საშუალო რადიუსის მოქმედების ახალი ბალისტიკური რაკეტა, რომლითაც, როგორც შემაკავებელი ფაქტორით დასავლეთ ევროპაში", შეიარაღდება ნატო, — წერს დღის გაზეთი „დეილი მეილის" კორესპონდენტი ბრიუს როტფელი. ახალი რაკეტა, აღნიშნავს როტფელი, შენდება დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის შტრაუსის მოთხოვნით, რომელიც თავგამოდებული მომხრეა იმ იდეისა, რომ ნატოს ჰქონდეს დამოუკიდებელი ატომური „შემაკავებელი საშუალება".

ეფრიკელი მუშები სულ უფრო ფართოდ მონაწილეობენ კლასობრივ ბრძოლაში. ამას წინათ ჩრდილოეთ როდეზიის სპილენძის საბადოთა მუშებმა კენნეთ უაარეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას. ხუთასზე: აფრიკელ მეშახტეთა რიგი კენნეთ ყრის დროს. ფოტო იუპისა — საკდესი.

„ჩვენ გვსურს თავისუფალი ვიყოთ"

ლონდონი, 3 მარტი. (საკდესი). „ჩვენ გვსურს თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიყოთ. აფრიკელ ხალხს არ სურს, რომ ბრიტანეთის ალმი კვლავ ფიალებდეს ცენტრალურ აფრიკაში", — განაცხადა ლონდონში მყოფმა აფრიკელი ხალხის კავშირის თავმჯდომარემ ზომბაბვე ჯორშეა ნკომომ.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, ნკომომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ინგლისის მთავრობას, როდესაც ზიისა და ნიასალენდის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ ველენსკისა და სამხრეთ როდეზიის პრემიერ-მინისტრ ედგარ უორტეტულ შორის აფრიკის მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად „დროის ამაო ხარჯვაა".

„მწვანე ქუჩა" გაანიარაღებას

მ. სტურუა

ახლა მთელი მსოფლიო სულგანაბული ადევნებს თვალყურს ისტორიულ დიალოგს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის. ფორმით ეს დიალოგი სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის წერილების გაცვლის ხასიათს ატარებს. არსებითად იგი ასახავს ორ მიდგომას თანამედროვეობის ყველაზე გადაუდებელი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაწყვეტისადმი.

უომო მსოფლიო, უიარაღო მსოფლიო ისე სჭირდება ხალხებს, როგორც ჰაერი, როგორც პური არსობისა. და ეს მარტო მაღალფარდოვანი მეტაფორა კი აღარ არის, არამედ ულმობელი რეალობაა, რომელიც დასმულია ჩვენი ბობოქარი ეპოქის დღის წესრიგში. ბატონმა სონმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მოცლილმა პროფესორმა, გამოიანგარიშა, რომ ამჟამად ატომგულის იარაღის მთელი მსოფლიო მარაგის საერთო დამანგრეველი ძალიერება ეკვივალენტურია 60 მილიარდი ტონა ტრინიტროტოლუოლისა, ესეიგი მსოფლიოში თვითეულ მამაკაცზე, ქალსა და ბავშვზე 20 ტონა ფეთქებადი ნივთიერება მოდის. ჩვენ არ ვაპირებთ განვსაჯოთ, თუ რამდენად სწორია ეს გამოთვლა, მაგრამ ერთი რამ უეჭველად ცხადია — განიარაღების პრობლემის გადაჭრის არავითარი გადადება აღარ შეიძლება.

სწორედ ამით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობა, როცა წინადადება წამოაყენა, რომ განიარაღების საკითხებზე 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობას, რომელიც 14 მარტს შეიკრიბება ჟენევაში, დასაბამი მისცენ ამ კომიტეტში წარმოდგენილი ქვეყნების მთავრობათა (სახელმწიფოთა) მეთაურებმა.

რას ეყრდნობოდა საბჭოთა მთავრობა, ასეთი წინადადება რომ წამოაყენა? იმას, რომ მთავრობათა მეთაურები, რომლებიც აღჭურვილი არიან მთელი ძალაუფლებით, უფრო ადვილად შეძლებენ მძლავრი სტარტი მისცენ 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობას და, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დასძრან განიარაღების პრობლემის განხილვა.

ამატომ გასაკვირველი როდია, რომ საბჭოთა წინადადებამ თავიდანვე ჰპოვა ფართო დადებითი გამოხმაურება მსოფლიო საზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა წრეებში. ამ საზოგადოებრიობას თავი მოაბეზრა დიპლომატიის მოხელეთა უძღურების სანახაობამ, რომელთა სიტყვა, როგორც სახარებაში, წინ უსწრებს საქმეს. საბჭოთა წინადადებას სავსებით დაუჭირეს მხარი იმ სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც წარმოდგენილი არიან 18 სახელმწიფოს კომიტეტში. ჟენევაში ჩასვლის თანხმობა განაცხადეს ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა და ბირმის პრემიერ-მინისტრმა ნეუნმ.

უაღრესად საგულისხმოა, რომ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაბედა პრინციპულად უარეყო საბჭოთა წინადადება. ეს მოწმობს ორ რამეს: ჯერ ერთი, საბჭოთა წინადადების უცილობელ ლოგიკურობას და, მეორე, იმას, რომ შეუძლებელია უგულებელყო განწყობილება მსოფლიო საზოგადოებრიობისა, რომელიც მტკიცედ მოითხოვს განიარაღების პრობლემის ამოყვანას ლაყბობის გაცვეთილი გზიდან და პრაქტიკულ რელსებზე დაყენებას.

თავიანთ 14 თებერვლის საპასუხო წერილებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმაც დაუყოვნებლივ აღნიშნეს, რომ ისინი მაღალ დონეზე შეხვედრის მომხრე არიან, მაგრამ ეს შეხვედრა უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრები მოლაპარაკებენ „გარკვეულ პროგრესს" მიაღწევენ.

ამ პატარა „მაგრამ"-ს არსებითად დიდი და, სამწუხაროდ, უაღრესად უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის 21 თებერვლის წერილში ბოლომდე ამხილა იმათი ორპოფული თამაში, ვინც იყენებს სიტყვებს „გარკვეული პროგრესის" შესახებ, არსებითად კი აბრკოლებს ყოველგვარ პროგრესს განიარაღების დარგში.

დიახ, დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები აშკარად ვერ ეთმაგვენ თავს საქმეს. პრეზიდენტ კენედის წერილში ნათქვამია: თუმცა თათბირი ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა დაიწყონ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „მთავრობათა მეთაურები დაინტერესებული არ უნდა იყონ მოლაპარაკებით მისი დასაწყისიდანვე". ამაზე ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში სამართლიანად არის ნათქვამი: „რა მოტანს მეტს სარგებლობას — ხელმძღვანელობა, რომელსაც მთავრობათა მეთაურები შორიდან ანორეცელებენ, თუ ის, როცა თვითონ ისინი მკლავებდაკაპიწებული მოჰკიდებენ ხელს ყველაზე ძნელ საქმეს — სწორ მიმართულებას მისცემენ მოლაპარაკებას".

აქ ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ ერთი ანალოგია. ნაღმების აფეთქება შორიდან შეიძლება, მაგრამ მათ გაუვნებლებას ახლოდან მაშინ შეძლებთ, თუ უშუალოდ ახლოს მიხვალთ მათთან. ისინი, ვისაც, განზრახული აქვს ჟენევის მოლაპარაკებას ზღვასაღარა შორეთიდან უხელმძღვანელოს, როგორც ჩანს, დაინტერესებული არ არიან იმით, რომ ამოიღონ საშიში ფალია იმ ნიღმიდან, რომელიც განიარაღების პრობლემას აფეთქებით ემუქრება. სულ სხვა პოზიციიდან უდგება ამ საკითხს საბჭოთა მთავრობის მეთაური. „რაც შემეხება მე, — ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩემი ცხოვრების წესია ვიყო იქ, სადაც მთავარი სამუშაო კეთდება, სადაც ყველაზე საჭიროა წარმატების მიღწევა". რა კარგი იქნებოდა, ამ სასიცოცხლო წესით დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებიც რომ ხელმძღვანელობდნენ!

სამწუხაროდ, ისინი სხვა წესებით ხელმძღვანელობენ. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი შეწუხებულია დასავლეთის ნეგატიური დამოკიდებულებით საბჭოთა წინადადებისადმი 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის უმაღლეს დონეზე დაწყების შესახებ. აქ მართლაც არის მესაწუხებელი რამ. ნაცვლად კონსტრუქციული ნაბიჯის გადადგმისა დასავლეთმა საფრად გამოიყენა ყოველნაირ შენიშვნებში, როგორიც არის, მაგალითად, „გარკვეული პროგრესის", „პოზიციების გამორკვევის" მოთხოვნები და ასე შემდეგ. მაგრამ მხარეთა პოზიციები ხომ დადიხანია გამორკვეულია! გამორკვეულია ისიც, რომ ამ გამორკვევის შედეგად არსებული არმიები არ შემცირებულა თუნდაც ერთი ჯარისკაცით, ხოლო შეიარაღება — თუნდაც ერთი ვაზნით!

ამ შენიშვნების გაუკეთ ტეკრში რომ ეკვლევ გზას, ვერ მოგიმორება ის შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები უკვე წინასწარ იმზადებენ ალიბის, განზრახული აქვთ, თუ ჟენევაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, ყველა შეცდომა თავიანთ მინისტრებს დააკისრონ, ისინი საცემ ბიკვებად გამოიყენონ, თვითონ კი ხელი დაიბანონ. მართლაც, თუ თქვენ, ბატონებო, გჯერდებათ ნამდვილი დაარა „როგორიმე" პროგრესი, რათ ელით მას ოკეანეს გაღმიდან. აიღეთ ბილეთი, ჩაფიათ ჟენევაში და ეცადეთ მიაღწიოთ მას! მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს სწორედ ამის გაკეთება არა სურთ. როგორც ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, მათ ვერ შეეძლოთ მტკიცე გადაწყვეტილება დაეთანხმონ შეთანხმებას განიარაღების საკითხებზე. სწორედ ამიტომ ყოველნაირ შენიშვნებს უკან იმალებიან.

ამ შენიშვნებს შორის „სპეციალ" აღგილი უჭირავს კონტროლის პრობლემას, რომელმაც უკვე ყველას მოაბეზრა თავი. საბჭოთა კავშირს არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი დაინტერესებულია განიარაღების შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი უაღრესად მკაცრი საერთაშორისო კონტროლის დაწესებით, მაგრამ ის, რასაც დასავლეთი გვთავაზობს, განიარაღებისადმი კონტროლი კი არ არის, არამედ კონტროლია შეიარაღებისადმი, კონტროლი განიარაღებამდე. ბოლოს, ეს კონტროლი კი არ არის არამედ ჯაშუშობაა. საბჭოთა კავშირი ამას ვერ დაეთანხმება, ვერ დაეთანხმება იმას, რომ განიარაღება ერთი პროცენტი იყოს, ხოლო კონტროლი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი. დასავლეთის წინადადებებს კონტროლის შესახებ სიტყვიერი ჩენჩო რომ ჩამოვაცილოთ, ისინი შეიძლება გამოვხატოთ ანდაზით, რომელიც თავის წერილში მოიყანა ნ. ს. ხრუშჩოვმა: „მანეთის ცხვრის ხორცი და თუმანი ბურდაო". მეტისმეტი ხომ არ იქნება ბატონებო!

ზემოთ ვილაპარაკეთ იმ საბაბებზე, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები იგონებენ იმისათვის, რომ ჟენევაში არ წავიდნენ. ახლა ვნახოთ, რა არის ამ სურვილის უკონლობის მიზეზები. ამ დღეებში გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გულახდილად წერდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა თანხმობა — ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებაზე „შესაძლოა, თაკიდან აგვაცილებდა ან გადადებდა ატომური იარაღის ახალ გამოცდას, რომლის მოწყობასაც შეეთხოვებული შტატები აპირებენ". სინდისს რომ არ ეფალატო, და სიმართლე ჯიბეში არ დამალო, პირდაპირ უნდა თქვა, რომ ამ შემთხვევაში საქმის ვითარება სწორედ ასეთია. ამ დღეებში ნევადის შტატში მოეწყო მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. შორს აღარ არის ახალი ეტაპი ატომური გამოცდებისა ატმოსფეროში, რომლების მოწყობასაც ვაშინგტონი და ლონდონი აპირებენ შობის კუნძულზე წყნარ ოკეანეში. შობის კუნძული და ჟენევა კი ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ნაწილებში არ არიან არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ პოლიტიკურადაც. ჟენევაში წასვლაზე უარს რომ ამბობენ, დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს სურთ შეინარჩუნონ თავისუფლება გამალებული ატომური შეიარაღების განგრძობისა.

ასეთი პოლიტიკა საშიში და უგუნური პოლიტიკაა. ბევრი ცხადი არ არის, რომ ამის წინაშე საბჭოთა კავშირი გულხელდაკრეფილი ვერ დარჩება. იგი იძულებული იქნება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში ატომური იარაღის დაგროვებისა და სრულყოფისათვის. ამის შედეგად, როგორც ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, „ჯერ კიდევ არნახული გაქანებით ამუშავდება საკანონო, რომელსაც სულ უფრო მაღლა აჰყავს გამალებული ატომური შეიარაღება". ბუნებრივია, რომ ამისათვის პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს დაეკისრებათ.

დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების გეგმებში შობის კუნძულიც ჟენევის წინაშე პრიორიტეტი რომ მოიპოვა, ამის ასეთი მრავალმნიშვნელოვანი გარემოებაც მოწმობს. ამ ბოლო დრომდე ვაშინგტონი იმ აზრს ადგა, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტი საყოველთაო განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ჩარჩოებში ატომური გამოცდის აკრძალვის საკითხსაც უნდა განიხილავდეს. მაგრამ აი 23 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ იგი უარს ამბობს თავის წინადადებაზე იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს დამთმობლობას არ იჩენს კონტროლის საკითხში. მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, იმაში როდია, რომ საბჭოთა კავშირი დამთმობლობას არ იჩენს, არამედ იმაში, რომ ვაშინგტონს სურს უზრუნველყოს თავისი თავისუფლება გამალებული ატომური შეიარაღებების განსაგრძობად.

ნ. ს. ხრუშჩოვის მეორე წერილი ამერიკის დედაქალაქში 22 თებერვალს მიიღეს. ამ წერილმა, ჩანს, მოუბზადებელს მოუსწრო ვაშინგტონის დიპლომატიურ უწყებას, რომლის საქმეები ისევდაც ვერ მიდის ბრწყინვალედ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა იმაზე უკეთესი ვერაფერი მონახა, რომ მაშინვე უარყო ახალი საბჭოთა წერილი, გულდასმითაც კი არ შეუსინჯავს, ინფორმაციის საშუალებებს ეცნობა, რომ „ეს ბოლო ... ...

სახელოვანი თანამემამულე

ვ. მ. პეტრიაშვილის დაბადების 120 წლისთავი



ჩუმი მოღვაწე, ნამდვილი ქართველის სიკვდილით ქართველთ გულის მომწველი.

ამ სიტყვებით დაიტირა დიდმა აკაკიმ თავისი სახელოვანი თანამემამულე, მეცნიერების ქურუმი ვასილ პეტრიაშვილი.

ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი დაიბადა 1842 წ. 20 თებერვალს (ძვ. სტილით) თბილისის ახლო მდებარე სოფ. წალასყურში.

პატარა ვასილი ბავშვობიდანვე გაეცნო მაშინდელი გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას, იდრეგე გაეცვიმა მისდამი სიმპათია და თანაგრძნობა.

რვა წლისას მამამ ანბანი შეასწავლა. თერმომეტი წლისა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიბარეს. იქ გაეფეფეული იყო აუტანელი პირობები, ცემა, დასჯა, დამცირება და არაადამიანური მოპყრობა... სასწავლებელი იმდენად აუტანელი გამხდარა პატარა ვასოსათვის, რომ ერთხელ კიდევაც გაქცეულა და მამას ძალით დაუბრუნებია.

მშობლები ვასოს სასულიერო პირად აშზადებდნენ. მაგრამ ის ფიქრობდა უნივერსიტეტში შესვლაზე, რომ საკუთარ მოეტანა თავისი ხალხისათვის. 1866 წელს ბრწყინვალედ ჩაბარა კიდეც გამოცდები ნოვოროსიის სამეფო (ახლა ოდესის სახელმწიფო) უნივერსიტეტში.

როგორც პ. მელიქიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, ვ. პეტრიაშვილი ჯერ იურიდიულ ფაკულტეტზე შესულა, ხოლო შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე გადასულა.

ვ. პეტრიაშვილის სტუდენტობა ნოვოროსიის უნივერსიტეტში დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ შესანიშნავი პროფესორები, რომლებიც მამობრივი მზრუნველობით ცდილობდნენ ახალგაზრდობისათვის ცოდნის გადაცემას, მათში შრომისადმი სიყვარულის დანერგვას. ამ მოწინავე მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ქიმიაში ვ. პეტრიაშვილის მასწავლებლები — პროფ. ნ. ნ. სოკოლოვი და დოც. (შემდეგ პროფესორი) ა. ა. ვერიგო.

ვ. მ. პეტრიაშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1870 წელს. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ის ადგენს შრომას „აზოტოლუიდისა და მის ზოგიერთ ნაწარმთა შესახებ“, რის საფუძველზე მას ფიზიკა-მათემატიკის საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს ანიჭებენ და აგზავნენ სტიპენდიატად საპროფესოროდ მოსამზადებლად.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ვ. პეტრიაშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. 1873 წ. ზაფხულში სამეცნიერო მივლინებით ის ბონში მიემგზავრება და მუშაობას იწყებს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერის კეკულეს ლაბორატორიაში. ამ პერიოდში ის დაინტერესდა ფუმარისა და მალეინის მჟავეებით, მათი ორიგინალური ბუნებითა და იზომერიის თავისებურებით.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1874 წლის მარტში, მან ფიზიკა-მათემატიკის საბჭოს სხდომაზე ჩაბარა სამაგისტრო გამოცდები ქიმიაში, ხოლო იმავე წლის 1 დეკემბერს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „აზობენზიდის ჯგუფის შესწავლის მასალები“, და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

1875 წელს არჩეულ იქნა ტექნიკური ქიმიის კათედრის დოცენტად. სანტერესოა იმ პირთა გვარები, რომლებმაც ხმა მისცეს პეტრიაშვილის დოცენტად არჩევას. ესენი იყვნენ: ა. ვერიგო, ი. სეჩენოვი, ი. მენნიკოვი, ა. კოვალევსკი და ნ. უმოვი. ამ დროიდან ის იწყებს ლექციების კითხვას ტექნიკურსა და ანალიზურ ქიმიაში.

ამავე პერიოდში ის განაგრძობს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ორგანულ ქიმიაში. მასთან მუშაობენ ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდები, მათ შორის პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი.

1878 წელს ვ. პეტრიაშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მონო და დიოქსიმალონმჟავების შესახებ“ და მას მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1905-1907 წლებს, როდესაც ის არჩეულ იქნა ოდესის უნივერსიტეტის რექტორად.

ვ. მ. პეტრიაშვილმა რექტორის თანამდებობაზე მუშაობის ხანმოკლე პერიოდში გაატარა მთელი რიგი ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო არსებული მმართველობის წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიძლებოდა კიდეც აღეძრათ სასამართლოში სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც პეტრიაშვილის ციმბირში გადასახლებით დამთავრებულიყო.

1907 წ. 2 დეკემბერს მინისტრის ბრძანებით პროფ. ვ. პეტრიაშვილი განთავისუფლებულ იქნა რექტორის თანამდებობიდან და მის მაგიერ დაინიშნა რეაქციონერი პროფესორი ლევაშოვი.

უსაზღვროდ დაძაბულმა მუშაობამ, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ, რასაც იჩენდა მმართველობა უნივერსიტეტის მიმართ, რეაქციის თარეშმა საბოლოოდ გატეხა მეცნიერის ისედაც შერყეული ჯანმრთელობა. 1908 წ. ივლისში ვ. პეტრიაშვილი მიემგზავრება სამკურნალოდ საზღვარგარეთ, კარლსბადში. კარლსბადში ის ცუდად გახდა, ამას დაეთო ფილტვების ანთება, ჯანმრთელობის გაუარესება. მისი მეუღლე ეკატერინე პეტრიაშვილი ამას ატყობინებს შვეიცარიაში მყოფ პ. მელიქიშვილს, რომელიც მაშინვე მიემგზავრება კარლსბადში და ნახულობს თავის მეგობარს მძიმე მდგომარეობაში.

1908 წ. 8 აგვისტოს ვ. პეტრიაშვილი გარდაიცვალა მისი მეგობრის ხელზე.

მაშინდელი ოდესის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ვ. პეტრიაშვილის გარდაცვალებას. გაზეთებში კითხულობთ: „განსაცვიფრებელი ნათელი პიროვნება“... „პოოფესორი ადამიანი და პროფესორი მოქალაქე“... და ათასი სხვა საგულისხმო სიტყვებით გამოხატავდნენ ამ შესანიშნავი ადამიანისადმი თავის გრძნობებს და დამოკიდებულებას.

კარლსბადიდან ვ. პეტრიაშვილის ცხედარი 20 აგვისტოს მოუსვენებიათ ოდესაში. დასაფლავება მომხდარა 21 აგვისტოს.

ვ. მ. პეტრიაშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. უნივერსიტეტის დამთავრებისას მას უკვე სამი ნაბეჭდი შრომა ჰქონდა. პირველი მისი შრომები ორგანული ნაერთების სინთეზსა და ანალიზს ეკუთვნოდა. მისი სამაგისტრო დისერტაცია „მასალები აზობენზიდის ჯგუფის შესწავლისათვის“ ერთ-ერთ ფუნდამენტალურ გამოკვლევას წარმოადგენს ამ საინტერესო კლასის ნაერთების ქიმიაში.

ვ. მ. პეტრიაშვილის ამ ციკლის გამოკვლევებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

საგულისხმოა პეტრიაშვილის გამოკვლევები ისეთი ნაერთების დარგში, რომლებშიც ნახშირბადის ერთსა და იმავე ატომთან დაკავშირებულია ორი ჰიდროქსილის ჯგუფი. ამ კლასის ნაერთების შესწავლამ ნიადაგი მოუმზადა ტაუტომერიის მოვლენების ახსნას. მთელი რიგი შრომები მიუძღვნა მან ფუმარისა და მალეინის მჟავების გამოკვლევებს.

შრომების მეორე სერია შეეხება ფიზიკური ქიმიის საკვანძო საკითხებს, როგორიც არის: წონასწორობა ჰეტეროგენულ სისტემებში, ქიმიური სწრაფვის ძალები და მათი გაზომვის მეთოდები, ურთიერთქმედება და წონასწორობის პირობები ფუძეებს, მჟავეებსა და მარილებს შორის, მოქმედ მასათა კანონის მიყენება სხვადასხვა სისტემებისადმი, რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურასა და კონცენტრაციაზე და სხვ.

ვ. მ. პეტრიაშვილი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო სოფლის მეურნეობის საკითხებით. მისი გამოკვლევების დიდი ნაწილი მიძღვნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესწავლის საკითხებისადმი.

სოფლის მეურნეობის საკითხების შესწავლით ის ცდილობდა მეტად დაკავშირებოდა თავის სამშობლოს — საქართველოს და მეტი სარგებლობა მოეტანა თავისი ხალხისათვის, რაც მისი ცხოვრების მთავარ მიზანს შეადგენდა. ამის უტყუარ ფაქტს წარმოადგენს წერილების სერია, რომელიც დაიბეჭდა 1866-1867 წ. „დროების“ ფურცლებზე. ამ წერილების სერიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ი. ჭავჭავაძის — „მამული საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“. მისი მუდმივი საზრუნავი იყო სამშობლო, ქართველი ხალხი, ის იწვოდა საქართველოს აწმყოთი და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „მამული აყვავებული“ ენახა.

ბასული საუკუნის 80-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. პეტრიაშვილის წერილები და პასუხი სხვადასხვა შეკითხვებზე სოფლის მეურნეობის დარგში. პროფ. ვ. პეტრიაშვილმა ხელოვნებმცოდნე ძეგლი დაიდგა ქართველი ხალხის გულში იმ კაპიტალური შრომის გამოქვეყნებით, როგორიც არის „ღვინის დაყენება“.

ვ. პეტრიაშვილის ოცნება იყო საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში შესაძლებელი გახდა იმ ოცნების განხორციელება, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ასვენებდა ვ. პეტრიაშვილს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ვ. პეტრიაშვილს შეუსრულა უკანასკნელი ნატვრა, რომ მისი ცხედარი მიბარებოდა ქართულ მიწას.

დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის ინიციატივით, გარდაცვალების 50 წლისთავზე ვ. პეტრიაშვილის ნეშტი ოდესიდან გადმოსვენებულ იქნა თბილისში და დაიკრძალა ვაკის სასაფლაოზე.

პროფესორ ვ. პეტრიაშვილს რომ შეეძლოს მხრების წამოწევა „და აყვავებული საქართველოსათვის თვალის გადავლება, ის აუცილებელად იტყოდა, სინამდვილეს ჩემი ოცნებისთვისაც გაუსწრიაო.

დოცენტი ნ. ფირცხალავა.

ეს დღეები გაკურიანში

ფოტო ბ. დადვაძისა.

თეთრი სპარტაკიადის სტარტი

გაკურიანიდან მვეტყველინენენ

ბაკურიანი. 3 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბორჯომის ხეობის ულამაზესი კუთხე — დაბა ბაკურიანი კიდევ უფრო მიმზიდველი, ხალხმრავალი და ხალისიანი გახდა. ნამდვილად დიდი სპორტული ცხოვრება სჩქეფს ბაკურიანში, იგრძნობა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადის მძლავრი მაჯისცემა. ვის არ ნახავთ აქ, ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ არიან აქ.

საზეიმო განწყობილება სუფევს ბაკურიანში. ქუჩები, სპორტული ბაზები, ტრასები, სტარტები, ფინიშები ლამაზად არის მორთული, ნაირფერი ალმები, პლაკატები, ლოზუნგები ამშვენებს მიდამოს. თითქოს საგანგებოდ ამინდიც შესანიშნავი დგას, თვალის მომჭრელად კიაფობენ მზის სხივები თოვლზე.

სპარტაკიადა საზეიმოდ ჯერ არ გახსნილა, მაგრამ მოთხილამურეები ბრძოლაში ჩაებნენ. სტარტი სლალომ-გიგანტის მონაწილეებმა აიღეს. ტრასა მოწყობილი იყო კოხტა ვორის მიდამოებში. დისტანცია ვაუთათვის 1.725 მეტრს შეადგენდა 58 კარით, ქალთა, ჭაბუკთა და გოგონათათვის — 1.550 მეტრს 46 კარით.

ასპარეზობაში პირველად გოგონები ჩაებნენ, მათი რიცხვი 26-ს შეადგენდა. ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა უკრაინელმა ვ. პოგრებნაიამ. დრო — 2 წუთი და 18,4 წამი. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ნ. მერკულოვამ (მოსკოვი) და ა. ივანოვამ (ლენინგრადი).

ყურადღებას იპყრობდა ქალთა შეჯიბრება. აქ გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ყაზახეთის „ლოკომოტივის“ სპორტსმენმა ა. არტიომენკომ (2 წუთი და 2,1 წამი). მეორე ადგილზე გამოვიდა ს. კორზუბინა.

სურათზე: სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი ა. არტიომენკო.

დღეს აღმართავენ ალამს სვერდლოვსკში

სვერდლოვსკი. 3 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). „ზამთრის დედაქალაქი“ — ასე უწოდებენ სპორტსმენები დღეს სვერდლოვსკს — სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადის ცენტრს. საუცხოო სანახაობას წარმოადგენს ქალაქების სტადიონები, სპორტული ბაზები, ის ადგილები, სადაც უნდა გამოვლინდეს სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები სათხილამურო გადარბენებში, ჩქაროსნულ და ფიგურულ ციგურაობაში, აგრეთვე სხვა სახეობებში.

სპარტაკიადა სვერდლოვსკში გაიხსნება დღეს. სპორტსმენთა პარადი და ალამის აღმართვის ცერემონიალი გაიმართება ცენტრალურ სტადიონზე. ამავე დღეს შედგება შეხვედრები სათხილამურო გადარბენებში, ჩქაროსნულ ციგურაობაში, ჰოკეიში.

სვერდლოვსკში სპარტაკიადის გახსნამდე ორი დღით ადრე დაიწყო წინასწარი შეხვედრები ჰოკეიში. შედეგები ასეთია: 2 მარტს — მოსკოვი-ბელორუსია 9:3, ესტონეთი-ლატვია 5:3, ყირგიზეთი-სომხეთი 6:3, რსფსრ-უკრაინა 12:2, ყაზახეთი-ლიტვა 14:1. ლენინგრადი-საქართველო 31:0; 3 მარტი — ყაზახეთი-ლენინგრადი 2:6, ლიტვა-საქართველო 10:2, ბელორუსია-ესტონეთი 4:3.

წყალბურთელთა ჩემპიონატი

გუშინ კიევში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება წყალბურთში. მეორე ჯგუფში შემავალ გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: ცსკა-„სპარტაკი“ (დუშანბე) 16:0, „დინამო“ (ლვოვი)-ტაშკენტის გუნდი 4:0, „ბურევესტნიკი“ (თბილისი)-„ბურევესტნიკი“ (მინსკი) 4:4.

ნ. გაფრინდაშვილის ორი გამარჯვება

ზუგდიდი. 3 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ერთი დღის შესვენების შემდეგ საჭადრაკო დაფებზე განახლდა ბრძოლა საქართველოს პირველობაზე.

დღეს დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ოტატ ბუსლაევისა და გაფრინდაშვილის პარტია გადადებული იყო მეორისათვის უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ იოლ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გაფრინდაშვილმა იშვიათი სიზუსტით ჩაატარა ტექნიკურად ძნელი დაბოლოება და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მოჭადრაკე ქალი ამარცხებს ოსტატ ვაუს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ქუთაისელმა გიორგაძემ მოუგო დემურიას, ხოლო რაზოვსკი-შიშოვი და ბოკუჩავა-ჩიქოვანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სალამოს შედგა მეხუთე ტური. გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. ამჯერად მან დაამარცხა ლობჟანიძე. გურგენიძემ მოუგო რაზოვსკის, მიქაელიანმა — ბლაგიძეს, არნშტეინმა — ლომაიას, ჭანტურიამ — მიქაუტაძეს, გიორგაძემ (ქუთაისი) — გვენცაძეს, ბერაძემ — ბოკუჩავას, იზეფოზჩიკოვმა — შარნიაშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გიორგაძეს (თბილისი) 2 ზედმეტი პაიკი აქვს შიშოვთან.

5 ტურის შემდეგ გურგენიძეს 5 ქულა აქვს, არნშტეინსა და მიქაელიანს—ოთხ-ოთხი ქულა, გაფრინდაშვილსა და ბერაძეს — სამნახევარ-სამნახევარი ქულა.



4 მარტი

თეატრები: **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (დღისით), დიდოსტატის მარჯვენა (საღამოს 6 ს.), **რუსთაველის სახელობის** — ზღვის შვილები (დღისით), ღალატი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს).

ტელევიზია: 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეობრეობისათვის, 18.25 — გადაცემა — „თქვენ მათ კინოეკრანიდან იცნობთ“, 19.05 — კინონარკვევი — „ჯაფარიძელი შექტურები“ (საქართველოს ტელევიზიის გამოშვება), 19.15 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.10 — სოსპერეტო მუსიკის კონცერტი, 20.50 — მხატვრული ფილმი „დიდი ვალსი“.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ცოტა ვინ ჩვენი სტუმრები

ბ. ასაფიევის სპექტაკლ-ბალეტი „ბაღჩისარაის შადრევანი“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში

რა შეიძლება იყოს უფრო რთული ბალეტის მსახიობისათვის, ვიდრე ცნობიერებაში ღრმად დამკვიდრებული, ფართოდ ცნობილი ლიტერატურული სახის ქორეოგრაფიული საშუალებებით განხორციელება. დეზდემონა და ოტელო, ჯულიეტა და რომეო, თამარი და დემონი... ვინ ჩამოთვლის მათ ყველას, კლასიკური ტოლოების გმირებს, რომლებიც ახალი სახით გაცოცხლებულან საბალეტო სცენაზე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი პუშკინის გმირებს ეკუთვნით. და რაც უფრო ზედმიწევნით გრძნობს მოცეკვავე ავტორის სტილის ბუნებას, მით უფრო ღრმად სწვდება იგი ლიტერატურული პირველწყაროს არსში, მით უფრო მეტი ემოციურობა ენიჭება მის ქმედითს ცეკვას, მით უფრო მეტი საფუძველია იმისათვის, რომ მაყურებლის ილუზიები ურყევი დარჩეს.

მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ბ. ასაფიევის „ბაღჩისარაის შადრევანში“ მარიას პატრიაში რაისა სტრუჩკოვას პირველივე გამოჩენა სცენაზე არწმუნებს მაყურებელს, რომ მისი ილუზიები არ დაირღვევა. დიახ, ეს პუშკინის მარიაა, სწორედ ის მარია, რომლის შესახებაც ასეთი სათუთი გრძნობითა და აღფრთოვანებით წერდა დიდი პოეტი. პოემის უკვდავ სტრიქონებში (და ამ სტრიქონებს შუა) აღმოუჩენია მსახიობს თავისი გმირის ხასიათის ნიშნები — სიცოცხლისმოყვარულობა, პოეტური განწყობა, ამაყი უკარებლობა.

შეიძლება რამდენადმე უცნაურად გვეჩვენოს: მესამე, უაღრესად დრამატულ აქტში, მარია — სტრუჩკოვა, მარტო რომ რჩება, ბარბითს უკრავს და... იღიმება. რა არის ეს? მსახიობის „შეცდომა“? თუ ამაში რაიმე შინაგანი აზრია? მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ მარია — სტრუჩკოვა პირველ აქტში, რომ მივხვდეთ: მსახიობი თავის თავს არ ღალატობს. სიცოცხლისმოყვარულობა მისი თვისებაა. ხომ უკვე იქ, ვაცლავთან — ბ. ხოსლოვთან შესრულებული დუეტები ყღერდა როგორც ნატიფი, სასიმღერო, პოეტური, მაგრამ სიცოცხლის ხალისით აღსავსე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფრაზები.

ლაღი პირველი ადაჟიო, ხალისიანი, ექსპრესიული მაზურკა, ზეიმური მეორე ადაჟიო (მასში თითქოს ხაზგასმულია დიდი მნიშვნელობა წესჩვეულებისა, რომელიც სრულდება) — აი ის თემატური საფუძველი, რომელზეც აგებული აქვს რ. სტრუჩკოვას თავისი მოღიანი და, საბოლოო ანგარიშით, უაღრესად დრამატული სახე.

ამიტომ ვერ ვხედავთ მის შესრულებაში ცრემლიან-მოტკბო სენტიმენტალობის ნასახსაც კი, ამიტომ ახასიათებს სიამაყე მის ცეკვას, დახვეწილია ქორეოგრაფიული მოძრაობანი, რომლებსაც მოუდრეკელი სიდიადის, უკარებლობისა და თვით მამაცობის ნიშნები ახასიათებს. და რა ელეგიურიც უნდა იყოს მისი ვარიაცია მესამე აქტში, რაოდენ გამსჭვალულიც უნდა იყოს ლირიკული მეოცნეობითა და ნაღვლიანი ფიქრებით, სწორედ ამაყი უკარებლობა და მამაცური სულისკვეთება, გრიგისთან — ა. ლაფაურთან დუეტში ეს? მსახიობის „შეცდომა“? თუ ამაში რაიმე შინაგანი აზრია? მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ მარია — სტრუჩკოვა პირველ აქტში, რომ მივხვდეთ: მსახიობი თავის თავს არ ღალატობს. სიცოცხლისმოყვარულობა მისი თვისებაა. ხომ უკვე იქ, ვაცლავთან — ბ. ხოსლოვთან შესრულებული დუეტები ყღერდა როგორც ნატიფი, სასიმღერო, პოეტური, მაგრამ სიცოცხლის ხალისით აღსავსე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფრაზები.

ლაღი პირველი ადაჟიო, ხალისიანი, ექსპრესიული მაზურკა, ზეიმური მეორე ადაჟიო (მასში თითქოს ხაზგასმულია დიდი მნიშვნელობა წესჩვეულებისა, რომელიც სრულდება) — აი ის თემატური საფუძველი, რომელზეც აგებული აქვს რ. სტრუჩკოვას თავისი მოღიანი და, საბოლოო ანგარიშით, უაღრესად დრამატული სახე.

ამიტომ ვერ ვხედავთ მის შესრულებაში ცრემლიან-მოტკბო სენტიმენტალობის ნასახსაც კი, ამიტომ ახასიათებს სიამაყე მის ცეკვას, დახვეწილია ქორეოგრაფიული მოძრაობანი, რომლებსაც მოუდრეკელი სიდიადის, უკარებლობისა და თვით მამაცობის ნიშნები ახასიათებს. და რა ელეგიურიც უნდა იყოს მისი ვარიაცია მესამე აქტში, რაოდენ გამსჭვალულიც უნდა იყოს ლირიკული მეოცნეობითა და ნაღვლიანი ფიქრებით, სწორედ ამაყი უკარებლობა და მამაცური სულისკვეთება, გრიგისთან — ა. ლაფაურთან დუეტში განხორციელებული, ყველაზე უკეთ და სრულად გამოხატავს მარიას ხასიათს.

განა ეს პუშკინის მარია არ არის? და რამდენადაც ლაპარაკია ლიტერატურული პირველწყაროთი ქორეოგრაფიული სახეების შინაგან განპირობებაზე, უნდა ითქვას, რომ თავის ქორეოგრაფიულ პარტიტურაში პუშკინს ეყრდნობა რ. სტრუჩკოვას ორივე პარტნიორი—ბორის ხოსლოვი, რომელმაც შექმნა ჭაბუკ ვაცლავის აღტაცებული, მგზნებარე სახე (სახის გააზრებას ხელს უწყობს მსახიობის ცეკვის სიმსუბუქე და დახვეწილობა, მისი ტექნიკური აღჭურვილობა), და ალექსანდრე ლაფაური, რომელმაც შეძლო ძუნწად, მაგრამ დამაჯერებლად განეხორციელებინა ქორეოგრაფიული პანტომიმის საშუალებებით გრიგის ნაკლებად საცეკვაო სახე.

პირსისხლიანი ხანის შთამაგონებელი მრისხანე ძალა (ასეთად წარმოგვიდგა გრიგი — ლაფაური პირველი გამოჩენისას) ჩინებულ კონტრასტს წარმოადგენს მის ნაზ, ამაღელვებელ მოკრძალებულობასა და სულიერ დრამასთან, რაც ესოდენ ღრმად გადმოგვცა მსახიობმა შემდგომ აქტებში.

სტუმრებთან ერთად სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყეს ჩვენმა თანამემამულეებმაც. აქ გვინდა დავასახელოთ თამარ კოსოვაც, რომელმაც შექმნა ექსპრესიული, ტემპერამენტიანი ზარემას დასრულებული ქორეოგრაფიული სახე, რეზო მაღალაშვილიც — მგზნებარე, ფიცხი ნურალი, და ბალეტის ყველა დანარჩენი მონაწილენიც, რომლებმაც გამოავლინეს შემოქმედებითი კოლექტიურობისა და ანსამბლურობის გრძნობა, რაც ესოდენ აუცილებელია საგასტროლო სპექტაკლში.

ეთერ გუგუშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ბაღჩისარაის შადრევნიდან“. მარია — რაისა სტრუჩკოვა, გრიგი — ა. ლაფაური.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა კულტურის სასახლეში ამას წინათ კონცერტი გამართა მოსკოვის ესტრადის მსახიობთა დასმა, რომელსაც ლაცი ოლახი ხელმძღვანელობს. კონცერტის პროგრამაში იყო მუსიკალური ფელეტონები, სიმღერები, მხატვრული კითხვა, აკრობატული ეტიუდები.

მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა იტალიელი მომღერლის გულტიერო მიზიანოს გამოსვლას.

თბილისის სარაიონო კულტურის სახლის თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა შალვა დადიანის პიესა „შურისძიება“.

სპექტაკლი დადგა ბ. მაკარიძემ, მხატვრულად გააფორმა ტ. გაფრინდაშვილმა. როლებს ასრულებდნენ ნ. კირკიტაძე, დ. რობაქიძე, მ. ლილუაშვილი, ნ. ფორჩხიძე და სხვ.

ქუთაისი. (საკ. კორ.). მინისტრიის ქორწინის კოლექტივმა ბროლის ქუჩელთან ერთად წარმატებით აითვისა ახალი სახის პროდუქციის — ფერადი, მხატვრული სულფიდური მინის წარმოება.

ქართული ფერადი მინა

ქარხანამ უკვე დაამზადა ათასობით ცალი საყვავილე, საფერფლე, ჭიქა და ფერადი მინის სხვა ნაწარმი, რომელსაც მალე მიიღებს მომხმარებელი. ქარხანას განზრახული აქვს მომავალში მნიშვნელოვნად გააფართოოს პროდუქციის ასორტიმენტი.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ამ დღეებში გადაიღო სოხუმში. დიახ, ამ დღეებში. ეს ჩვენი შავი ზღვის თვალწარმტაცი სანაპიროა, თითქმის ერთნაირად მშვენიერი და მიმზიდველი წელიწადის ყოველ დროს. ახლა მარტია, მაგრამ სოხუმის პლაჟზე მზე აცხუნებს და მზის სხივებზე მოლივლივე ზღვის ტალღებს გულგრილად ვერ შეხედავ, სული წაგვლევს, რომ ლურჯ ზვირთებში შეცურო, ან გაბურებულ ქვიშაზე წამოწვე განცხრომით.

ეს დღეები სოხუმში

სტოკჰოლმის ფინიშის კონტურები

საჭადრაკო სამყარო ერთ თვეზე მეტია დაძაბულად ადევნებს თვალს უძლიერესთა სპორტულ ბაღქრობას — სტოკჰოლმის საზონათაშორისო ტურნირს. გროსმაისტერები და ოსტატები უკვე ფინიშის სწორზე გავიდნენ, მალე გაიცნობთ სანუკვარი ექვსეულის წევრებს.

მხოლოდ ორი ტური გვაშორებს ფინიშს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სატურნირო ცხრილში ყველაფერი რიგზეა და გარკვეულია. ერთად-ერთი, ვისაც შეუძლია დამშვიდებით იყოს, ეს გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი გროსმაისტერი რ. ფიშერი. მას 16 ქულით ორა მარტო ექვსეულში მოხვედრა, არამედ პირველი ადგილიც უზრუნველყოფილი აქვს, მაშინაც კი, თუ იგი ორივე პარტიას მ. ბერტოკთან და ვ. ულმანთან წააგებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რ. ფიშერი ტ. პეტროსიანთან ერთად ის მოჭადრაკეა, რომელსაც ასეთ დიდ ტურნირში არც ერთი დამარცხება არა აქვს. 20 პარტიიდან 12 მოგება და 8 ყაიმი უთუოდ დიდი გამარჯვებაა და მეტყველებს ახალგაზრდა გროსმაისტერის შემოქმედებით თამაშსა და საჭადრაკო ნიჭზე.

რ. ფიშერის შემდეგ სატურნირო ცხრილში ყველაზე უკეთესი მდგომარეობა საბჭოთა გროსმაისტერებს ტ. პეტროსიანსა და ე. გელერს აქვთ. 13,5 ქულა 20 შესაძლებლიდან — ექვსეულში მოხვედრის სერიოზული განაცხადია. ე. გელერის მდგომარეობა მე-17 ტურამდე ჩინებული იყო, მაგრამ უკანასკნელ სამ ტურში მან წაიბორძიკა — სამი შეიარაღებული ფრანგი ოსტატი ერთ-ერთ ბრძოლაში ბოლომდე ვერ ერეოდა ერთმანეთს, ბოლოს ერთ-ერთ ფრანგ ოსტატს ბედმა ალაპარაკა